9. სამართლიანობა

უკანასკნელი ცვლილების თარიღი: 01.10.2022

ხშირად სიტყვა „სამართლიანობას“ სასჯელის კონტექსტში განიხილავენ და მასზე დანაშაულისა და ამ დანაშაულზე სახელმწიფოს მიერ დაწესებული სასჯელის ჭრილში საუბრობენ. თუმცა, შესაძლებელია, სამართლიანობა განსხვავებულ ჭრილში განვიხილოთ. უფრო ფართო აზრით, სამართლიანობა განაწილებას ეხება და არა მხოლოდ სასჯელის დაწესებას. ყოველდღიურად თავს იჩენს ხოლმე შეკითხვები, რომლებიც ეხება იმას, თუ როგორაა განაწილებული სიმდიდრე და შემოსავალი ჩვენს გარშემო. აშშ-ში, მაგალითად, ყოველდღიურად 40-დან 45 მილიონამდე ამერიკელი სიღარიბეში ცხოვრობს და მათგან 30-35-მა მილიონმა არ იცის, თუ სად მიიღებს საკვებს შემდეგ ჯერზე. მეორე მხრივ, აშშ-ს უმდიდრესი კომპანიების აღმასრულებელი დირექტორები წელიწადში დაახლოებით 12 მილიონ აშშ დოლარს გამოიმუშავებს, რაც დაახლოებით 343-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე საშუალო ამერიკელის შემოსავალი. არის თუ არა სამართლიანი ასეთი მკვეთრი უთანასწორობის არსებობა? სამართლიანია თუ არა ის, რომ ვიღაც იახტის ყიდვაზე ხარჯავს ფულს მაშინ, როდესაც სხვები შიმშილობენ? ზემოთ მოყვანილი რიცხვები მთელ რიგ შეკითხვებს წარმოშობენ: უნდა ვეცადოთ თუ არა, რომ ადამიანთა შემოსავალი უფრო თანასწორი გახდეს? უფრო მეტად ხომ არ უნდა წარვმართოთ თუ არა ჩვენი რესურსები იმათ დასახმარებლად, ვისაც მატერიალურად უჭირს? თუკი ადამიანები დისკრიმინირებულ ჯგუფებს ეკუთვნიან, მათ განსაკუთრებული მიდგომა ესაჭიროებათ თუ არა? ვის უნდა ჰქონდეს წვდომა ჯანდაცვის მომსახურებაზე: მხოლოდ მას, ვისაც შეუძლია? თუ ყველას, ვისაც სჭირდება? თუ ისინი, ვინც ყველაზე მეტ სარგებელს მიიღებენ?[1]

ამერიკელი პოლიტიკური ფილოსოფოსის რიჩარდ ერნესონის აზრით, თითქმის ყველაფერი, რაც კი სამართლიანობის თემას ეხება, საკამათოა.[2] თავად სიტყვა „სამართლიანობაც“ კი წინააღმდეგობრივია. ტერმინი **სამართლიანობა აღნიშნავს საზოგადების წევრებს შორის სარგებლისა და პასუხისმგებლობის კეთილსინდისიერი განაწილების პრინციპს**[3]. აქ, სულ მცირე, ოთხ იდეაზე შეგვიძლია მივუთითოთ, რომელთა სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციაა შესაძლებელი:

1. რა ითვლება „კეთილსინდისიერ“ განაწილებად;
2. რა უნდა მოვიაზროთ „სარგებელსა“ და „პასუხისმგებლობებში“;
3. ვინ იგულისხმება „პიროვნებაში“ (რომელთან მიმართებითაც სამართლიანობაზე შეიძლება საუბარი);
4. საზოგადოების როგორი მდგომარეობა იგულისხმება ამ განსაზღვრებაში.

ჯონ როულსის შეხედულებებზე დაყრდნობით ერნესონი მიიჩნევს, რომ სამართლიანობასთან დაკავშირებულ დებულებებს უპირატესობა უნდა მივანიჭოთ სხვა

[1] იხ. Manuel Velasquez, *Philosophy: A Text With Readings*, 13th edition, Cengage Learning, 2017, გვ. 603.

[2] შდრ. R. Arneson, “Justice”, in: D. Estlund (ed.), *The Oxford Handbook of Political Philosophy*, Oxford University Press, 2012, გვ. 58 და შმდ.

[3] „განაწილება“ აქ შეიძლება გულისხმობდეს როგორც განაწილების *პროცესს*, რომელიც სამართლიანად არის წარმართული, ასევე, განაწილების სამართლიან *წესსაც*, რომელიც ამ პროცესიდან გამომდინარეობს.

ნორმატიულ მსჯელობებთან შედარებით. თუკი საზოგადოება უსამართლოა, მაშინ ის ისე უნდა შეიცვალოს, რომ უსამართლობა აღმოიფხვრას, მიუხედავად იმისა, რომ ეს საზოგადოება, შესაძლოა, სხვა დადებითი თვისებებით ხასიათდებოდეს და ამ ცვლილებამ მის ამ სხვა დადებით თვისებებს საფრთხე შეუქმნას. ასეთი მიდგომა ეყრდნობა სამართლიანობის ვრცელ და მომცველ გაგებას. ამ გაგების თანახმად, თუკი საზოგადოებას აქვს სასურველი, მაგრამ არასამართლიანი თვისებები, ეს საზოგადოება მაინც შესაცვლელია. ამ პერსპექტივის თანახმად, **სამართლიანობის შესახებ მსჯელობა ფუნდამენტური (საფუძველმდებარე) მორალური მსჯელობაა, ხოლო სამართლიანობის პრინციპები ფუნდამენტური მორალური პრინციპებია**.

საზოგადოებაში არსებული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორების (პოლიტიკა, კანონები, სოციალური ინსტიტუტები) ზეგავლენის შედეგად, სარგებელი და პასუხისმგებლობები საზოგადოების წევრებს შორის განსხვავებულადაა გადანაწილებული.[4] აღნიშნული ფაქტორები პოლიტიკური პროცესების შედეგადაა ჩამოყალიბებული და დროის გასვლასთან ერთად ისინი განუწყვეტლივ იცვლებიან.. **დისკუსიები იმის შესახებ, თუ როგორი სტრუქტურა და განაწილების რომელი წესია მორალურად უფრო მისაღები, *დისტრიბუციული სამართლიანობის* (distributive justice) სფეროს აყალიბებს**. შესაბამისად, დისტრიბუციული სამართლიანობის პრინციპები იმ პოლიტიკური პროცესებისა და სტრუქტურების **მორალურ საფუძვლებად** უნდა გავიაზროთ, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოებებში სარგებლისა და პასუხისმგებლობების განაწილებაზე.

საუკუნეების განმავლობაში მოაზროვნეებმა განსხვავებული პრინციპები ჩამოაყალიბეს, რომელთა საფუძველზეც სამართლიანობის სხვადასხვა კონცეფციები განავითარეს. მათ შორის, შესაძლებელია, გამოვყოთ ძირითადი კონცეფციები: მაგალითად, თუკი ადამიანი პროფესიების და ანაზღაურების გადანაწილებაზე მსჯელობისას ინდივიდის ნიჭსა და უნარებზე მიუთითებს, მაშინ ის, სავარაუდოდ, სამართლიანობას **დამსახურების** (merit) ჭრილში განიხილავს. მეორე შემთხვევაში, თუკი ამტკიცებენ, რომ დიდმა კორპორაციებმა შეღავათიანი საგადასახადო ტარიფით უნდა ისარგებლონ, რადგან მათ სარგებელი მოაქვთ საზოგადოებისთვის, მაშინ ეს იქნება პერსპექტივა, რომელიც სამართლიანობას **სოციალური სარგებლიანობის** (social utility) კონტექსტში განიხილავს. დაბოლოს, თუკი ვინმე თვლის, რომ სამედიცინო მომსახურება ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს, მაშინ იგი სამართლიანობას, ძირითადად, **თანასწორობის** ჭრილში განიხილავს.

სამართლიანობა როგორც დამსახურება (justice as merit)**. პლატონის** თანახმად, სამართლიანობა სახელმწიფოში ისეთივე რამეა, რაც სამართლიანობა ინდივიდში: განსხვავებულ ნაწილებს შორის ჰარმონია, რომელიც მთელის კეთილდღეობისკენაა მიმართული (იხ. თემა 3). იგი მიიჩნევდა, რომ სამართლიანობა დამსახურებას უკავშირდებოდა: საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობა მისი ნიჭითა და მიღწევებით უნდა განისაზღვრებოდეს. ადამიანებს განსხვავებული ბუნებრივი მიდრეკილებები, უნარები და ნიჭი აქვთ. სწორედ ეს უნდა განსაზღვრავდეს მათ სოციალურ პოზიციას საზოგადოებაში და არა სხვა მაჩვენებლები (მაგალითად, სიმდიდრე). საზოგადოებას უნდა მართავდნენ ისინი, ვისაც ყველაზე მეტად აქვს გონებრივი უნარები განვითარებული. მათ ქვემოთ დგას მეომართა ფენა, რომელთაც ბუნებრივად აქვთ სიმამაცე და სამხედრო საქმისკენ სწრაფვა. მეომრებზე დაბლა დგანან ისინი, რომელთა უნარებიც მათ

[4] შდრ. J. Lamont, C. Favor, “Distributive Justice”, in: *Stanford Encyclopedia of Philosophy*, https://plato.stanford.edu/entries/justice-distributive/

შესაფერისს ხდის ხელოსნობისთვის და ფიზიკური მუშაობისთვის. ყველაზე ბოლო საფეხურზე დგანან მონები, რომლებსაც პლატონი თითქმის არ ახსენებს. მსგავსი შეხედულებები ჰქონდა **არისტოტელესაც**. იგი თვლიდა, რომ ადამიანები არ არიან თანასწორნი და იცავდა მონობას იმ საბაბით, რომ მონებს „ბუნებრივად“ არ გააჩნდათ დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი. თუმცა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ვინც სამართლიანობას დამსახურების ჭრილში განიხილავს, ის აუცილებლად მონობას ემხრობა. ზოგადად, სამართლიანობის როგორც დამსახურების გაგება შესაძლებელია, შემდეგი განსაზღვრების სახით ჩამოვაყალიბოთ:

„სამართლიანია საზოგადოება, რომელიც სარგებელსა და პასუხისმგებლობებს დამსახურების მიხედვით ანაწილებს, რაც იზომება ადამიანის ნიჭით, უნარით, ძალისხმევით, მიღწევებით, ინტელექტით, ან სოციალური სტატუსით.“

სამართლიანობა როგორც თანასწორობა (justice as equality). დასავლურ საზოგადოებებში თანასწორობის იდეა ფართოდაა გავრცელებული. ითვლება, რომ ყველას აქვს უფლება, მიიღოს დაახლოებით ერთი და იგივე სახის განათლება, რომ არ უნდა განხორციელდეს დისკრიმინაცია სქესისა და რასის საფუძველზე, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს და ა.შ. თანასწორობის შესახებ ერთ-ერთი მიდგომა ამ სიტყვის მკაცრად გაგებას გულისხმობს. **მკაცრი ეგალიტარიზმი** (strict egalitarianism) საზოგადოების ყველა წევრისთვის მატერიალური სიკეთეების თანაბარ განაწილებას მოითხოვს. ის დისტრიბუციული სამართლის ერთ-ერთ უმარტივეს პრინციპს წარმოადგენს, რომელიც მკაცრ ანუ რადიკალურ თანასწორობას მოითხოვს. ამ პრინციპის თანახმად, ყოველ ინდივიდს თანაბარი მატერიალური რესურსები და ერთი და იგივე „სიმძიმის“ პასუხისმგებლობები უნდა ჰქონდეს. აღნიშნულ პრინციპს საფუძვლად უდევს თვალსაზრისი, რომლის თანახმად ადამიანები მორალურად თანასწორნი არიან და რომ მატერიალური სიკეთეების განაწილების საკითხში თანასწორობა ყველაზე კარგი საშუალებაა ამ იდეალის განსახორციელებლად. თუმცა, მთელი რიგი მიზეზების გამო მკაცრი ეგალიტარიანიზმის პრაქტიკაში განხორციელება ძალიან რთულია: მაგალითად, კლასში, სადაც განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეები არიან, მასწავლებლები ვერ შეძლებენ ისეთი კურსის წაკითხვას, რომელიც ყველასთვის „თანაბარი“ იქნება. თუკი მასწავლებელი გაამარტივებს მასალას, ეს მოსაწყენი იქნება უფრო უნარიანი მოსწავლეებისთვის, ხოლო თუკი ის კლასს მასალას მთელი სირთულით მიაწვდის, მაშინ ნაკლებად განვითარებული უნარების მქონე მოსწავლეები მის ათვისებას ვერ შეძლებენ. ანალოგიურად, შეუძლებელია ერთი და იგივე ხელფასების გაცემა (თუნდაც ერთ თანამდებობაზე) სხვადასხვა კომპანიებში და ა.შ.

კრიტიკის სანაცვლოდ ეგალიტარიზმის მომხრეებმა განავითარეს **ზომიერი ეგალიტარიზმის** (moderate egalitarianism) პოზიცია. ზომიერი ეგალიტარისტები განასხვავებენ ორი სახის თანასწორობას: პოლიტიკურსა და ეკონომიკურს. ადამიანებს აქვთ პოლიტიკური თანასწორობა, როდესაც მათ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის თანასწორი უფლებები აქვთ. ზომიერი ეგალიტარისტები თვლიან, რომ ადამიანებს თანასწორი პოლიტიკური უფლებები უნდა ჰქონდეთ. ეს უფლებები გულისხმობს თანასწორობას არჩევნებზე ხმის მიცემის, სამოქალაქო უფლებების, სამართლიანი სასამართლოს უფლების და ა.შ. ჭრილში. პოლიტიკურ სფეროში მკაცრი ეგალიტარიზმი უნდა იყოს, მიიჩნევენ ზომიერი ეგალიტარისტები. რაც შეეხება ეკონომიკურ სფეროს, აქ ზომიერი ეგალიტარისტები ერთმანეთისგან განასხვავებენ შემოსავლის/სიმდიდრის თანასწორობასა და ეკონომიკური შესაძლებლობების თანასწორობას. მკაცრი ეგალიტარიზმი პრობლემებს აწყდება, როდესაც შემოსავლის/სიმდიდრის თანაბარ განაწილებას მოითხოვს. თუმცა, არაფერია პრობლემური, თუკი ვაღიარებთ, რომ ყველას

თანაბარი ეკონომიკური შესაძლებლობები აქვს. ყველას უნდა ჰქონდეს უფლება, მიიღოს უფრო უკეთესი სამსახური, სადაც უფრო მაღალი ანაზღაურებაა. საზოგადოებას შეუძლია, უზრუნველყოს ეკონომიკური შესაძლებლობების თანასწორობა საზოგადოების ყველა წევრისთვის განათლების თანაბარი შანსების მიცემითა და ყველა სახის რასობრივი/სქესობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრით. ამრიგად, ზომიერი ეგალიტარისტები აზრით, მკაცრი ეგალიტარიზმი გამართლებულია პოლიტიკურ სფეროში და იმ შემთხვევაში, თუკი ეკონომიკური შესაძლებლობების თანასწორობაზე ვსაუბრობთ. მაგრამ რაც შეეხება შემოსავალს/სიმდიდრეს, ეს ადამიანთა შორის არსებულ განსხვავებებზეა დამოკიდებული.

სამართლიანობა როგორც საზოგადოებრივი/სოციალური სარგებელი (justice as social utility). **უტილიტარიზმის** (ინგლისურად utility ნიშნავს „სარგებელს“) თანახმად, მორალურად გამართლებულია ისეთი ქმედება, რომელიც უდიდეს საერთო სარგებელს მოიტანს. მოქმედების საერთო სარგებელი არის ადამიანზე მისი დადებითი ან უარყოფითი გავლენების ჯამი. უტილიტარიზმი სამართლიანობის სტანდარტად სარგებლის მაქსიმალურ გაზრდას მიიჩნევს. მიიჩნევა, რომ სოციალური ინსტიტუტები და პრაქტიკები, კანონები, სოციალური ნორმები და ინდივიდთა ქმედებები სამართლიანია იმ ხარისხით, რა ხარისხითაც ისინი ხელს უწყობენ საერთო სარგებლის მაქსიმალურ ზრდას.

უტილიტარიზმის, როგორც ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთ დამფუძნებლად ინგლისელი ფილოსოფოსი **ჯონ სტიუარტ მილი** (1806-1873 წწ.) ითვლება. მილი ამტკიცებდა, რომ ჩვენ ყოველთვის უნდა ვეცადოთ სოციალური ზიანის მინიმიზებას და სოციალური სარგებლის მაქსიმიზებას. თავის ნაშრომში „უტილიტარიზმი“ (1864 წ.) მილი განიხილავს, თუ როგორ უკავშირდება სამართლიანობის ცნება საზოგადოების სარგებელს. იგი თვლის, რომ ადამიანები სამართლიანობას, საბოლოო ჯამში, სარგებლის ჭრილში განიხილავენ. მაგალითად, ადამიანები შესაძლოა, აცხადებდნენ, რომ სამართლიანობა თანასწორობაა, თუმცა ისინი სწრაფად უკუაგდებენ თანასწორობის იდეას, თუკი ჩათვლიან, რომ საზოგადოებას სარგებელს მოუტანს ისეთი პრაქტიკა, რომელიც უთანასწორობას მოითხოვს. მაგალითად, ამ დებულების მომხრეებმა შეიძლება თქვან, რომ უმჯობესია, გულის გადანერგვის დროს რიგში მყოფი პაციენტებიდან უპირატესობა მიენიჭოს ცნობილ ექიმს (დავუშვათ, მუშასთან შედარებით), რადგან შემდეგში ეს ექიმი უფრო მეტ სარგებელს მოიტანს საზოგადოებისთვის. შესაბამისად, სარგებელი არის ის, რაც სამართლის (და ყველა მორალური წესის) საფუძველს ქმნის.

ჯონ როულსი და უტილიტარიზმის კრიტიკა. XX საუკუნეში სამართლიანობის შესახებ ყველაზე გავლენიანი თეორია ჩამოაყალიბა ამერიკელმა ფილოსოფოსმა, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა **ჯონ როულსმა** (1921-2002 წწ.).[5] 1971 წელს როულსმა გამოაქვეყნა თავისი ყველაზე ცნობილი ნაშრომი **„სამართლიანობის თეორია“** (*A Theory of Justice*).[6] როულსის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ სამართლიანობის საკითხი ფილოსოფიაში კვლავ მძლავრი დაინტერესების საგანი გახდა. უფრო მეტიც, როულსის ნაშრომმა გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის თითქმის ყველა იმ ფილოსოფოსზე, რომელიც სამართლიანობის საკითხს იკვლევდა. აღნიშნულ ნაშრომში როულსი ცდილობს, სისტემურად დააფუძნოს, ახსნას და ნათელყოს სამართლიანობის ფუნდამენტური პრინციპები; მიუყენოს ისინი სოციალური ეთიკის სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებს და

[5] შდრ. B. N. Moore, K. Bruder, *Philosophy. The Power of Ideas*, 10th edition, McGraw-Hill, 2019, გვ. 299 და შმდ.

[6] აღსანიშნავია, რომ „სამართლიანობის თეორია“ წარმოადგენს 1958 წელს როულსის მიერ გამოქვეყნებული სტატიის გადამუშავებულ ვერსიას. ამ სტატიის სათაური იყო „სამართლიანობა როგორც პატიოსნება“.

მათი მეშვეობით შეაფასოს სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტები; ასევე, გააანალიზოს მათი მნიშვნელობა ვალდებულებისა და მოვალეობის ცნებებისთვის.

როულსის თანახმად, რადგან საზოგადოებისთვის დამახასიათებელია როგორც კონფლიქტი, ასევე, ინტერესთა ერთობაც, მას (საზოგადოებას) უნდა ჰქონდეს გარკვეული პრინციპები, რომელთა საფუძველზეც მოხდება საზოგადოების წევრებისთვის ძირითადი უფლებებისა და ვალდებულებების მინიჭება და, ასევე, სარგებლისა და პასუხისმგებლობების განაწილება. ამ პრინციპებს **დისტრიბუციული, ანუ სოციალური სამართლიანობის პრინციპები** ეწოდება. ისინი განსაზღვრავენ, თუ თანამშრომლობის რა ტიპი უნდა ჩამოყალიბდეს საზოგადოების წევრებს შორის და ადგენენ, ასევე, იმ ხელისუფლების ფორმას, რომელიც უნდა დამკვიდრდეს (ამ საკითხებში როულსის სამართლიანობის თეორია კვეთს ტრადიციულ ფილოსოფიურ შეკითხვებს სახელმწიფოს ეთიკურად გამართლებული ფუნქციებისა და ორგანიზაციის შესახებ). **როულსისთვის საზოგადოება (ან სახელმწიფო) მოწესრიგებულია იმ შემთხვევაში, თუკი:**

1. მისი წევრები აღიარებენ სოციალური სამართლიანობის **ერთსა და იმავე** პრინციპებს;

2. ძირითადი სოციალური ინსტიტუტები ზოგადად აკმაყოფილებენ (და ადამიანთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ისინი აკმაყოფილებენ) ამ პრინციპებს.



ჯონ როულსი XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფილოსოფოსად მიიჩნევა (მარტინ ჰაიდეგერთან და ლუდვიგ ვიტგენშტაინთან ერთად)

იმისთვის, რათა საზოგადოება მოწესრიგებული იყოს, მისმა წევრებმა რაციონალური (გონივრული) განაზრებების მეშვეობით უნდა განსაზღვრონ, თუ რა წარმოადგენს სამართლიანობის მათეულ პრინციპებს. იმისთვის, რათა შერჩეული პრინციპები გონივრული და ლეგიტიმური იყოს, ისინი კეთილსინდისიერი პროცედურის მეშვეობით უნდა იქნენ შერჩეული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თავიდან უნდა იქნეს აცილებული ნებისმიერი შემაფერხებელი გარემოება, რომელმაც შესაძლოა, აღნიშნული პროცესის კეთილსინდისიერება ეჭვქვეშ დააყენოს. შესაბამისად, იდეალურ შემთხვევაში, პრინციპების შერჩევის დროს არც ერთი ჩვენგანი არ უნდა ფლობდეს სხვებზე მეტ ცოდნას, რაც, სხვებთან შედარებით, პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაგვაყენებდა. ჩვენ არ უნდა ვფლობდეთ ინფორმაციას სხვების (და საკუთარი) სიმდიდრის, სოციალური სტატუსის, შესაძლებლობების, ინტელექტის, მიდრეკილებების, სწრაფვებისა და რწმენების შესახებ.

ამრიგად, როულსი გვთავაზობს, რომ თუკი გვინდა, განვსაზღვროთ, თუ რა არის სამართლიანობა და სამართლიანი სახელმწიფო, მაშინ „გვერდზე უნდა გადავდოთ“

ყველაფერი, რაც სხვებთან შედარებით საკუთარი თავისთვის უპირატესობის მინიჭებისკენ გვიბიძგებს.[7] სამართლიანი სახელმწიფო ისეთი სახელმწიფოა, რომელიც თანაბრად მიუკერძოებელია ნებისმიერ მოქალაქესთან მიმართებით და არავის ანიჭებს განსაკუთრებულ პრივილეგიას სხვების ხარჯზე. მაგრამ როგორ „გადავდებთ გვერდზე“ ყველაფერს, რაც საკუთარი თავის პრივილეგირებისკენ გვიბიძგებს? როულსი სააზროვნო ექსპერიმენტს გვთავაზობს (გაიხსენეთ, თუ რას ნიშნავს სააზროვნო ექსპერიმენტი პირველი თემიდან), რომელიც შეგნებულად აღწერს წარმოსახვით სიტუაციას. წარმოვიდგინოთ, აცხადებს იგი, რომ ჩვენ ახალ საზოგადოებას და ახალ ხელისუფლებას უნდა ჩავუყაროთ საფუძველი. დავუშვათ, რომ რაღაც სასწაულის ძალით, არცერთმა ჩვენგანმა არ იცის არაფერი, თუ როგორი იქნება იგი ახალ საზოგადოებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ არ გეცოდინებათ, მამაკაცი იქნებით, თუ ქალი; შავკანიანი თუ თეთრკანიანი, მდიდარი თუ ღარიბი, ნიჭიერი თუ უნიჭო, მორწმუნე თუ ათეისტი და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, როდესაც არ ვიცით, „ვინ“ ვიქნებით, ჩვენ იძულებულნი გავხდებით, ისეთი ხელისუფლება შევარჩიოთ, რომელიც მიუკერძოებელი იქნება ნებისმიერის მიმართ, მიუხედავად მისი ვინაობისა. მაგალითად, თუკი მე არ ვიცი, ამ ახალ საზოგადოებაში თეთრკანიანი ვიქნები თუ შავკანიანი, მე მხარს დავუჭერ ისეთ ხელისუფლებას, რომელიც არც თეთრკანიანებს ანიჭებს უპირატესობას და არც შავკანიანებს. მე ისეთ ხელისუფლებას ვისურვებ, რომელიც არ ახდენს დისკრიმინაციას. დავუშვათ, ასევე, რომ მე არ ვიცი, ახალ საზოგადოებაში მდიდარი ვიქნები, თუ ღარიბი, ათეისტი თუ მორწმუნე, ნიჭიერი თუ უნიჭო. მაშინ მე მხარს დავუჭერ ისეთ ხელისუფლებას, რომელიც უპირატესობას არც მდიდრებს ანიჭებს და არც ღარიბებს, არც ათეისტებს და არც მორწმუნეებს, არც ნიჭიერებს და არც იმათ, ვინც ნიჭიერი არაა. ამ შეხედულებას როულსმა უწოდა „სამართლიანობა როგორც მიუკერძოებლობა“[8] (justice as fairness).

როულსის თანახმად, სამართლიანობის პრინციპები ჩვენ ისე უნდა შევარჩიოთ, თითქოს **არცოდნის საბურველის** (veil of ignorance) მიღმა ვიყოთ. არცოდნის საბურველი, ანუ სხვებისა და საკუთარი თავის შესახებ ძირითადი ფაქტების არცოდნა უზრუნველყოფს იმას, რომ პრინციპების შერჩევის პროცესში არავინ იქნება პრივილეგირებულ (ან არასახარბიელო) მდგომარეობაში, რომელიც შესაძლოა, მისი ინდივიდუალური ცხოვრებისეული სიტუაციებით შეიქმნას.

[7] იხ. Manuel Velasquez, *Philosophy: A Text With Readings*, 13th edition, Cengage Learning, 2017, გვ. 592 და შმდ.
[8] შეიძლება, ასევე, „პატიოსნება/კეთილსინდისიერება“.



„არცოდნის საბურველი“ როულსის მიერ შემუშავებული სააზროვნო ექსპერიმენტია, რომლის მიზანი სამართლიანობის ძირითადი პრინციპების დადგენაა.[9]

თუკი არცოდნის საბურველის პირობებში ვიმსჯელებდით იმის შესახებ, თუ სამართლიანობის რომელი პრინციპები უნდა შეგვერჩია, მაშინ, როულსის თანახმად, ჩვენ ვიქნებოდით **საწყის, ანუ თავდაპირველ მდგომარეობაში** (original position). თომას ჰობსის, ჯონ ლოკისა და ჟან-ჟაკ რუსოს **ბუნებრივი მდგომარეობის** ცნების მსგავსად, თავდაპირველი მდგომარეობა აბსოლუტურად ჰიპოთეტური მდგომარეობაა (როგორც აღვნიშნეთ, ადამიანები არასოდეს ყოფილან და ვერასოდეს იქნებიან ასეთი არცოდნის მდგომარეობაში). სამართლიანობის პრინციპების განსაზღვრა საკუთარი თავის თავდაპირველ მდგომარეობაში წარმოდგენით იმის გარანტიაა, რომ სამართლიანობის ჩვენი გაგება მხოლოდ ჩვენზე არ იქნება მორგებული. „თავდაპირველ მდგომარეობაში“ მომავლის საზოგადოებისთვის ადამიანები ისეთ პრინციპებს შეარჩევენ, რომლებიც ყველასთვის სამართლიანი და მიუკერძოებელი იქნება. როულსის აზრით, ისინი ყველასთვის სამართლიან და მიუკერძოებელ პრინციპებს აირჩევენ, რადგან არავის ეცოდინება, თუ რა პოზიციას დაიკავებს და როგორი იქნება მომავლის საზოგადოებაში. რადგან არავინ იცის, თუ როგორი იქნება მომავალში, ამიტომ არავინ აირჩევს ისეთ პრინციპებს, რომლებიც უსამართლო იქნება ნებისმიერი ადამიანისთვის. მაგალითად, რადგან არავინ იცის, მდიდარი იქნება თუ ღარიბი, ისინი აირჩევენ ისეთ პრინციპებს, რომლებიც სამართლიანია როგორც მდიდრებისთვის, ასევე, ღარიბებისთვის; რადგან არავინ იცის, შავკანიანი იქნება თუ თეთრკანიანი, ისინი აირჩევენ ისეთ პრინციპებს, რომლებიც სამართლიანია როგორც თეთრკანიანებისთვის, ასევე, შავკანიანებისთვისაც და ა.შ. როულსი თვლის, რომ თავდაპირველ მდგომარეობაში ადამიანთა არჩევანი სამართლიანი უნდა იყოს და ის პრინციპები, რომლებსაც ისინი შეარჩევენ, აუცილებლად სამართლიანი უნდა იყოს ყველასთვის.

[9] სურათი მოპოვებულია „იუთუბზე“ ატვირთული ვიდეოდან: Thought experiment «Veil of Ignorance» (English) #filosofix, Channel: SRF Kultur.

ბუნებრივი მდგომარეობა – ჰიპოთეტური მდგომარეობა, რომლის დროსაც სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს. ინგლისელი ფილოსოფოსის **თომას ჰობსის** (1588-1679 წწ.) თანახმად, ეს არის „ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ“ (ლათინურად: bellum omnium contra omnes), ქაოსის, უნდობლობის, ურთიერთმოტყუებისა და ძალადობის მდგომარეობა, რომლის დროსაც თითოეული ინდივიდი ცდილობს, ყველანაირი საშუალებით მოიპოვოს უპირატესობა სხვებზე. სახელმწიფო, ჰობსის თანახმად, წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ინდივიდები საკუთარი ნებით შეიზღუდავენ საკუთარ ძალაუფლებას და უფლებებს. უზენაეს ძალაუფლებას, რომელიც ამ პროცესის შედეგად წარმოიშვება, ჰობსი „ლევიათანს“[10] უწოდებს. როდესაც ადამიანები საკუთარ ძალაუფლებებს და უფლებებს ლევიათანს გადასცემენ, ისინი **სოციალურ (საზოგადოებრივ) ხელშეკრულებას** ქმნიან. სწორედ ამ ხელშეკრულების მეშვეობით აღწევენ ადამიანები თავს ბუნებრივ მდგომარეობაში არსებულ ბოროტებას და აყალიბებენ სამოქალაქო საზოგადოებას, ანუ მშვიდობიან მდგომარეობას. ჰობსის შემდეგ სოციალური ხელშეკრულების ყველაზე გავლენიანი თეორია ინგლისელმა ფილოსოფოსმა **ჯონ ლოკმა** (1632-1704 წწ.) ჩამოაყალიბა.

ამრიგად, როულსის თანახმად, სამართლიანობის ძირითადი პრინციპები ის პრინციპებია, რომლებსაც ჩვენ დავეთანხმებოდით, თუკი ვიაზროვნებდით რაციონალურად, თვითდაინტერესების საფუძველზე და არარელევანტურ შეხედულებებს უკუვაგდებდით. რადგან სამართლიანობის ძირითადი პრინციპები ისინია, რომლებსაც ჩვენ ყველანი უნდა დავეთანხმოთ, როულსის სამართლიანობის თეორია **ხელშეკრულების (კონტრაქტის) თეორიას** წარმოადგენს (ჰობსის, ლოკისა და რუსოს თეორიების მსგავსად).[11] ამრიგად, ძალაუფლება, რომელსაც ხელისუფლება ფლობს, როულსისთვის გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენი ხელისუფლება ისეთი ხელისუფლებაა, რომელსაც ჩვენ თავდაპირველი მდგომარეობის პირობებში ავირჩევდით. ჩვენი ხელისუფლების ძალაუფლება იმიტომ კი არაა გამართლებული, რომ ჩვენ ბუნებრივ მდგომარეობაში, დროის რომელიღაც კონკრეტულ მონაკვეთში დავეთანხმეთ ამ ხელისუფლების პირობებში ცხოვრებას (ეს შეხედულება გვხვდება ჰობსთან და ლოკთან და ის საკმაოდ მწვავედ გააკრიტიკა ინგლისელმა ფილოსოფოსმა დევიდ ჰიუმმა. იხ. ჩანართი ქვემოთ), არამედ იმიტომ, რომ ჩვენ **დავეთანხმებოდით** ასეთი სახის ხელისუფლების პირობებში ცხოვრებას, თავდაპირველ მდგომარეობაში რომ ვიმყოფებოდეთ (ჰიპოთეტური ხელშეკრულების თეორია. ამ შეხედულების კრიტიკისთვის იხ. თემა 11: ძალაუფლება და ლეგიტიმურობა).

---

[10] ლევიათანი – ზღვის ურჩხული, რომელიც ძველ აღთქმაში და ქრისტიანულ ლიტერატურაში ხშირად ბოროტებას განასახიერებს.

[11] ეს თეორიები, ასევე, ცნობილია „კონტრაქტარიანიზმის“ (Contractarianism) სახელით.

დევიდ ჰიუმი სოციალური ხელშეკრულების წინააღმდეგ და როულსის ახალი ინტერპრეტაცია

ჰობსისა და ლოკის სოციალური ხელშეკრულების თეორიები XVIII საუკუნეში მწვავედ გააკრიტიკა შოტლანდიელმა ფილოსოფოსმა **დევიდ ჰიუმმა** (1711-1776 წწ.). ჰიუმის კრიტიკა მარტივი, მაგრამ გამანადგურებელი იყო. ჰიუმაა უბრალოდ მიუთითა, რომ სოციალური ხელშეკრულება სინამდვილეში არ არსებობდა. ხელისუფლება წარმოიშვება დაპყრობის გზით, ან ხდება მისი მემკვიდრეობით გადაცემა, მიიჩნევდა ჰიუმი. თუკი ჩვენ ისტორიაში „უკან წავალთ“, ვერ ვნახავთ ისეთ მომენტს, როდესაც ადამიანები იკრიბებოდნენ ხელისუფლების შესაქმნელად. ასე რომ, სოციალური ხელშეკრულება სრული ფიქციაა. იგი წერდა:

„ზოგიერთი ფილოსოფოსი [...][12] ამტკიცებს [....] რომ ხელისუფლების დასაწყისი იყო თანხმობა, ან ნებაყოფლობითი დათმობა ხალხის მხრიდან. [...] მაგრამ თუკი ეს მოაზროვნეები ჩვენს სამყაროს დააკვირდებოდნენ, ისინი ვერაფერს ნახავდნენ ისეთს, რაც მათ იდეებთან შესაბამისობაში იქნებოდა. [...] ჩვენ ყველგან ვხედავთ მმართველებს, რომლებიც საკუთარ ქვეშევრდომებს თავიანთ საკუთრებად აცხადებენ და დაპყრობის, ან მემკვიდრეობითობის საფუძველზე ამყარებენ უზენაესი მმართველობის თავიანთ უფლებას. [...] თითქმის ყველა ის ხელისუფლება, რომელიც დღეს არსებობს, ან რომლის შესახებაც ისტორიული ჩანაწერები მოიპოვება, შეიქმნა ძალაუფლების მითვისებით ან დაპყრობით (ან ორივე ხერხით ერთად), სამართლიანი თანხმობის ან ხალხის ნებაყოფლობითი დამორჩილების ყოველგვარი შემთხვევის გარეშე.“[13]

ჰიუმის თავდასხმა იმდენად გამანადგურებელი აღმოჩნდა, რომ ფილოსოფოსების უმეტესობამ ხელშეკრულების თეორია უკუაგდო. საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სოციალური კონტრაქტის თეორია, ფაქტობრივად, უგულებელყოფილი იყო. XX საუკუნეში სოციალური თეორიის ხელახალი აღორძინება ჯონ როულსის სახელს უკავშირდება. როულსი ეთანხმებოდა ჰიუმს, რომ სოციალური ხელშეკრულების იდეა გამონაგონი, ფიქცია იყო: ის ისტორიულად არ არსებობდა. ხალხი არ შეკრებილა დროის რაღაც მონაკვეთში იმისთვის, რომ ხელისუფლება „დაეწყო“. თუმცა, როულსის აზრით, ეს არაა მნიშვნელოვანი. სოციალური ხელშეკრულების თეორია მნიშვნელოვანია, რადგან კარგი საშუალებაა იმის წარმოსადგენად, თუ როგორი **უნდა** იყოს ხელისუფლება. სოციალური ხელშეკრულების თეორია ამბობს, რომ იმისთვის, რათა დავადგინოთ, თუ რა სახის ხელისუფლება უნდა გვქონდეს, ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ თითქოს ჩვენს საზოგადოებასა და ხელისუფლებას „თავიდან“ ვიწყებთ. ასეთ დროს თავს იჩენს შეკითხვა: რა სახის ხელისუფლებას ავირჩევდით ჩვენთვის, თუკი ასეთი „თავდაპირველი“ მდგომარეობიდან დავიწყებდით და სამართლიანი ხელისუფლების შექმნას ვისურვებდით? ამ შეკითხვაზე როულსის პასუხს ქვემოთ იხილავთ ☺

---

[12] აღნიშნავს ტექსტში გამოტოვებულ ადგილებს.

[13] იხ. David Hume, “Of the Original Contract,” in: David Hume, *Essays, Literary, Moral, and Political*, New York: Ward, Lock & Tyler, n.d., c. 1870, გვ. 272–273.

როულსის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენ ვიაზროვნებდით რაციონალურად და თვითდაინტერესების საფუძველზე, თავდაპირველ მდგომარეობაში გამოიკვეთებოდა **სამართლიანობის ორი პრინციპი**, რომელსაც ჩვენ შევარჩევდით.

პირველი პრინციპი (რომელიც მეორე პრინციპზე უფრო პრიორიტეტულია), ასეთია: „თითოეულ პიროვნებას თანაბარი უფლება აქვს, ფლობდეს მაქსიმალურად ფართო ძირითად თავისუფლებას, რომელიც თავსებადი იქნება საზოგადოების სხვა წევრების ანალოგიურ თავისუფლებასთან.“

მეორე პრინციპის თანახმად, „სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა ისეთნაირად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ის: ა). საზოგადოების ყველაზე ნაკლებად პრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფი წევრების მაქსიმალურ კეთილდღეობას უწყობდეს ხელს და ბ). უკავშირდებოდეს სოციალური პოზიციების (თანამდებობების) ისეთ სტრუქტურას, რომელიც ყველასთვის თანაბრად ღია და ხელმისაწვდომი იქნება.“

როულსის მიხედვით, ეს ორი პრინციპი სამართლიანობის უფრო ზოგადი კონცეფციის კონკრეტულ შემთხვევას წარმოადგენს. ამ კონცეფციის მიხედვით, **ყველა სოციალური სიკეთე** (მაგალითად, თავისუფლება, განვითარების შესაძლებლობები, შემოსავალი და ა.შ.) **თანაბრად უნდა იქნეს განაწილებული იმ შემთხვევის გარდა, თუკი ნაჩვენები იქნება, რომ მათი არათანაბარი განაწილება საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობას შეუწყობს ხელს.** თუკი, მაგალითად, სიმდიდრის თანაბარი განაწილება იმას ნიშნავს, რომ ყოველი ინდივიდი 10$-ს მიიღებს, მაშინ ეს უფრო სამართლიანი განაწილებაა, ვიდრე ის შემთხვევა, როდესაც ადამიანთა ნახევარი იღებს 18$-ს, ხოლო მეორე ნახევარი – მხოლოდ 2$-ს. მაგრამ, თუკი არათანაბარი განაწილება თითოეულ ინდივიდს (ყველაზე უფრო არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფების ჩათვლით), **სულ მცირე**, 11$-ს მაინც არგუნებს, მაშინ სამართლიანობა მოითხოვს სიმდიდრის არათანაბარ განაწილებას (და არა მკაცრად თანაბარ განაწილებას, რომლის დროსაც ყოველი ინდივიდი მხოლოდ 10$-ს იღებს).

სამართლიანობის ამ ცნებამდე, როულსის თანახმად, მაშინ მივდივართ, როდესაც გვსურს, ვიპოვოთ სამართლიანობის ისეთი გაგება, რომელიც უპირისპირდება და აუქმებს ბუნებისა და სოციალური გარემოებებით გამოწვეულ შემთხვევითობებს (რომელთა ძალით ზოგიერთი ინდივიდი სხვებზე უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაშია: მაგალითად, უფრო ძლიერია, მოხერხებულია, ან უფრო მდიდარ ოჯახშია დაბადებული).

აღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარეობს, რომ **საზოგადოებაში არსებული რესურსების (მაგალითად, სიმდიდრის) არათანაბარი განაწილება, შესაძლოა, სამართლიანი იყოს** იმ შემთხვევაში, თუკი ეს უთანასწორობა საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობას ემსახურება. მაგალითად, ის გარემოება, რომ ექიმებს მეტი გასამრჯელო აქვთ, ვიდრე მშენებლობაზე მომუშავე მუშებს, შესაძლოა, ყველას კეთილდღეობას უწყობდეს ხელს. თუ სამართლიანობა მოითხოვს, რომ ექიმებს უფრო მეტი გადავუხადოთ, ვიდრე მაღაროში მომუშავე მუშებს, პარიკმახერებსა და მდივნებს, ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ეს საუკეთესო საშუალებაა კარგი სამედიცინო მომსახურების დასანერგად, რაც **ყველა** ინდივიდის მიერ ჯანმრთელობის საკითხის მიმართ სასიცოცხლო დაინტერესებითაა განპირობებული (აქ შედის საზოგადოებაში ყველაზე უფრო ნაკლებად პრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების ინტერესებიც).

მეორე პრინციპთან შედარებით პირველი პრინციპის პრიორიტეტულობიდან გამომდინარეობს, რომ, უტილიტარული თეორიის საპირისპიროდ, დაუშვებელია რომელიმე ინდივიდის პირადი თავისუფლების დათრგუნვა საყოველთაო კეთილდღეობის

მიზნით. როულსი მიიჩნევს, რომ უტილიტარიზმი არ იცავს ინდივიდთა უფლებებს. მისი აზრით, უტილიტარიზმი უგულებელყოფს ინდივიდთა განსხვავებულობას. უტილიტარისტების მტკიცებიდან, რომ ჩვენ ყოველთვის უნდა მოვიქცეთ იმგვარად, რომ საერთო სარგებელი გაიზარდოს, გამომდინარეობს, რომ თუკი რომელიმე ინდივიდის სასიცოცხლო შანსების სრული დათრგუნვა ბევრ ადამიანს გარკვეულ სარგებელს მოუტანს, მაშინ ამ ადამიანის გაწირვა სამართლიანი და სწორი ქმედებაა. ანალოგიურად, ადამიანთა გარკვეული ჯგუფისთვის თავისუფლების წართმევა, უტილიტარიზმის მიხედვით, გამართლებული გამოდის, თუკი ეს ქმედება დანარჩენი ჯგუფისთვის უფრო მეტ საერთო სარგებელს წარმოქმნის. ამისგან განსხვავებით, როულსი სამართლიანობის არსს აიგივებს იმ პრინციპებთან, რომლებიც შერჩეული იქნებოდა თავისუფალი და ერთმანეთის თანასწორი, რაციონალური ადამიანების მიერ მიუკერძოებელ ვითარებაში (ე.წ. „საწყისი მდგომარეობისა“ და „არცოდნის საბურველის“ პირობებში).

ამრიგად, როულსის თანახმად, სამართლიანი ხელისუფლება ისეთი ხელისუფლებაა, რომელიც არ ანიჭებს ცხოვრების ერთ წესს უპირატესობას ცხოვრების სხვა წესთან შედარებით; ის არ უჭერს მხარს ერთ რომელიმე რელიგიას, ეთნიკურ, ან რასობრივ ჯგუფს და კულტურას სხვა რელიგიების, ჯგუფების და კულტურის ხარჯზე. სამართლიანი ხელისუფლება საშუალებას აძლევს ყველა ადამიანს, ესწრაფოს ისეთ ცხოვრებას, რომელიც ამ ინდივიდის აზრით, საუკეთესოა მისთვის. სამართლიანი ხელისუფლება უზრუნველყოფს თანაბარ პოლიტიკურ უფლებებსა და ეკონომიკურ შესაძლებლობებს ყველა ინდივიდისთვის მიკერძოებულობის გარეშე.

რობერტ ნოზიკის ლიბერტარიანიზმი. 1974 წელს ამერიკელმა ფილოსოფოსმა **რობერტ ნოზიკმა** (1938-2002 წწ.) გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი **„ანარქია, სახელმწიფო და უტოპია“** (*Anarchy, State, and Utopia*). ნაშრომის ძირითადი შეკითხვა ასეთია: უნდა არსებობდეს თუ არა სახელმწიფო და თუ უნდა არსებობდეს, მაშინ რატომ? ნოზიკის მთელი ნაშრომი, ფაქტიურად, ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობას წარმოადგენს. ამ პასუხში შესაძლოა, სამი ძირითადი დებულება გამოვყოთ (ნოზიკის ნაშრომში ამ სამ დებულებას წიგნის ცალკე ნაწილი ეთმობა):

1. გამართლებულია **მინიმალური სახელმწიფოს** არსებობა, რომელსაც ვიწრო ფუნქციები აქვს: ძალადობისგან, ქურდობისგან, თაღლითობისგან, ხელშეკრულებების დარღვევისგან და ა.შ. დაცვა.

2. ამაზე უფრო „ვრცელი“ სახელმწიფო შელახავს ადამიანთა უფლებებს (აიძულებს მათ იმის გაკეთებას, რაც მათ არ სურთ) და შესაბამისად, ის არაა გამართლებული.

3. მინიმალური სახელმწიფო სასურველია და ის სამართლიანიცაა.

ნაშრომის პირველ ნაწილში ნოზიკი უპირისპირდება ანარქისტების დებულებას, რომლის თანახმად, ნებისმიერი სახელმწიფო აუცილებლობით ლახავს ადამიანთა მორალურ უფლებებს და, ამდენად, თავისი არსებით არამორალურია. ნოზიკს ეს დებულება არასწორად მიაჩნია. იგი ცდილობს, აჩვენოს, რომ მინიმალური სახელმწიფო ე.წ. **„უხილავი ხელის“ მექანიზმის** მეშვეობით ჩნდება ჰიპოთეტური ბუნებრივი მდგომარეობიდან და რომ ის არც ერთ ბუნებრივ უფლებას არ არღვევს. როგორც მეექვსე თემაში („პოლიტიკური იდეოლოგიები I“) იყო აღნიშნული, ინგლისელი ეკონომისტის **ადამ სმითის** თანახმად, ადამიანები საკუთარი მიზნების განხორციელებას ესწრაფვიან, თუმცა ამ დროს მათ „უხილავი ხელი“ წარმართავს, რომელიც ხელს უწყობს ისეთი მიზნის განხორციელებას, ამ ადამიანების ჩანაფიქრებში მოცემული რომ არ იყო (იგულისხმება საყოველთაო კეთილდღეობა). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანები თავიანთი პირადი ინტერესების დაკმაყოფილებას მიელტვიან, თუმცა, „უხილავი ხელის“ ზემოქმედების შედეგად ისინი საყოველთაო კეთილდღეობის დამკვიდრებას უწყობენ ხელს.

სმითის მსგავსად, ნოზიკს „უხილავი ხელის“ მეშვეობით ახსნის ნიმუშად მიაჩნია ისეთი შემთხვევები, როდესაც რაიმე განზრახვიდან თითქოსდა გამომდინარე შედეგი სინამდვილეში ამ განზრახვით კი არ იყო გამოწვეული, არამედ სრულიად სხვა ფაქტორებით. მაგალითად, მიიჩნევა, რომ სახელმწიფო წარმოადგენს შედეგს, რომელიც წარმოიშვა ადამიანთა სურვილის საფუძველზე, ეცხოვრათ საერთო ხელისუფლების ქვეშ. ასე ფიქრობდა ინგლისელი ფილოსოფოსი **ჯონ ლოკი** (1632-1704 წწ.) და მასთან ერთად ბევრი სხვა ფილოსოფოსი, პოლიტიკის მკვლევარი და ეკონომისტი. თუმცა, ნოზიკი ცდილობს, სახელმწიფო უხილავი ხელის მოქმედების მეშვეობით ახსნას: იგი თვლის, რომ **სახელმწიფო ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების *განსხვავებული* მიდრეკილებებისა და სურვილების შედეგად ჩნდება**. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ნოზიკი ცდილობს, აჩვენოს, თუ როგორ ჩნდება მინიმალური სახელმწიფო ადამიანთა უფლებების დარღვევის გარეშე.

ნაშრომის მეორე ნაწილის ძირითადი დებულების თანახმად, ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც უფრო მეტ უფლებებს ფლობს, ვიდრე მინიმალური (ე.წ. „ღამის გუშაგი“) სახელმწიფო, არალეგიტიმურია. შესაბამისად, ნებისმიერი მოთხოვნა, რომ მატერიალური სიკეთეები გადანაწილდეს რაიმე ფორმულის (მაგალითად, „თითოეულს თავისი დამსახურების მიხედვით“) თანახმად, ან რაიმე მიზნის (მაგალითად, საყოველთაო კეთილდღეობის) გამო, ნოზიკის თანახმად, მოითხოვს ისეთ განაწილებას, რომელიც ინდივიდებს წაართმევს იმას, რაც მათ კანონიერად ეკუთვნის. ამრიგად, სამართლიანობის ასეთი კონცეფციები არალეგიტიმურია.

ნოზიკის თანახმად, ინდივიდებს აქვთ აბსოლუტური, ეჭვშეუვალი მორალური უფლებები, იცხოვრონ ისე, როგორც ისინი ჩათვლიან ამას საჭიროდ და როგორც მოესურვებათ, ისე განკარგონ ის, რასაც კანონიერად ფლობენ (იმის გათვალისწინებით, რომ ისინი არ აყენებენ სხვებს ზიანს ძალადობის, თაღლითობის და ა.შ. გამოყენებით). ამ მიდგომის (რომელსაც **ლიბერტარიანული** მიდგომა ეწოდება) ბირთვს თვითფლობის (self-ownership) ცნება წარმოადგენს. თითოეული პიროვნება საკუთარი თავის სრულყოფილ კანონიერ მფლობელად მიიჩნევა, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ადამიანს გააჩნია უფლებათა ის ერთობლიობა, რომლებიც, როგორც წესი, მატერიალური ნივთების მფლობელობას უკავშირდება: სხვა ინდივიდებს არანაირი უფლება არა აქვთ საკუთარი თავის სრულყოფილად მფლობელ ინდივიდზე; ასევე, არ არსებობს რაიმე უფლებები, რომლებიც ამ ინდივიდს დაავალდებულებს, რომ თავისი სხეული სხვების სასარგებლოდ გამოიყენოს, ან ისე მოიქცეს, როგორც ეს სხვებს სურთ. შესაბამისად, არავის აქვს უფლება, სხვებისგან დახმარება მოითხოვოს.[14]

[14] შდრ. R. Arneson, “Justice”.



რობერტ ნოზიკი

სამართლიანობის ნოზიკისეული გაგება ემყარება იდეას, რომელიც ბევრი ადამიანისთვის ინტუიციურად მისაღებია. ამ იდეის თანახმად, „ის, რაც შენია, შენ გეკუთვნის“. საკუთარი შემოსავლის ან მატერიალური რესურსების გადანაწილება საკუთარი ნების საპირისპიროდ საყოველთაო კეთილდღეობისთვის (ან ნებისმიერი სხვა მიზნისათვის), არ არის სამართლიანი. ნოზიკის თანახმად, ინდივიდს უფლება აქვს იმაზე, რაც მან კანონიერად მოიპოვა, ხოლო სამართლიანობა მდგომარეობს ინდივიდების მიერ მათი კანონიერი კუთვნილების შენარჩუნებაში. ნოზიკის ეს მიდგომა **უფლებების მინიჭების კონცეფციის** (entitlement conception) სახელითაა ცნობილი. ამრიგად, ნოზიკის აზრით, **სოციალური სამართლიანობა,** ანუ მატერიალურ სიკეთეთა განაწილების შედეგად წარმოქმნილი სამართლიანობა, არ მიიღწევა ამ სიკეთეების ისეთი გადანაწილებით, რომელიც რაღაც მიზნის (მაგალითად, საყოველთაო კეთილდღეობის) განხორციელებას ესწრაფვის. ამისგან განსხვავებით, სამართლიანობა მოითხოვს, რომ მატერიალურ სიკეთეებს უნდა ფლობდნენ ისინი, ვინც მათზე კანონიერი გზით მოიპოვა უფლება.

„თუკი შენ გაიძულებენ, სხვის კეთილდღეობას შეუწყო ხელი, ეს შენი უფლებების დარღვევაა. ხოლო თუკი ვინმე არ უზრუნველგყოფს იმით, რაც, შესაძლოა ძალიან გჭირდებოდეს და თუნდაც ეს არსებითი იყოს შენი უფლებების დაცვისთვის, ეს თავისთავად არ წარმოადგენს შენი უფლებების დარღვევას, თუმცა ამ დროს ხელს არ უშლიან იმას, რომ თქვენი უფლებები დაირღვეს“ (ყურადღებით წაიკითხეთ ეს დებულება. თავიდან, შესაძლოა, რთულად მოგეჩვენოთ, თუმცა ყურადღებით წაკითხვისა და სათანადო გააზრების შემთხვევაში ეს სირთულე გაქრება ☺).

სამართლიანობის ნოზიკისეული გაგების თანახმად, მდიდრებისგან მატერიალური სიკეთეების აღება მათთვის კომპენსაციის მიცემის გარეშე და ამ სიკეთეების ღარიბებისთვის მიცემა არასოდესაა სამართლიანი (რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუკი ეს მდიდრები ძალადობის ან თაღლითობის მეშვეობით არ არიან გამდიდრებულნი). ეს იქნებოდა ჯონ ლოკის პოზიციაც. ამისგან განსხვავებით, მკაცრი უტილიტარისტული მიდგომის თანახმად, ასეთი ქმედება სამართლიანი იქნება იმ შემთხვევაში, თუკი ეს ადამიანთა დიდ რაოდენობას უფრო მეტ სიკეთეს მოუტანდა. მაგალითად, თუკი პროგრესული გადასახადების[15] მეშვეობით მდიდარი ადამიანის შემოსავალს მოვაკლებდით

[15] პროგრესული გადასახადი – გადასახადის ისეთი ტიპი, როდესაც უფრო მაღალი შემოსავალი უფრო მეტი საგადასახადო პროცენტით იბეგრება.

ისეთ თანხას, რომელიც მისთვის უმნიშვნელო იქნებოდა და ამ თანხას გამოვიყენებდით იმისთვის, რომ (მაგალითად) ათ ადამიანს არ ეშიმშილა. დაბოლოს, სამართლიანობის როულსისეული გაგების თანახმად, მდიდრებისთვის შემოსავლის მოკლება და მისი ღარიბებისთვის განაწილება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ხელს უწყობს მთელის კეთილდღეობას **და** თუკი ეს არ ზღუდავს ვინმეს თავისუფლებას.

ლიბერალები და კომუნიტარები. როულსის თანახმად, სამართლიან საზოგადოებაში ინდივიდებს უფლება აქვთ, ესწრაფონ თავიანთი მიზნების განხორციელებას, თუკი ისინი სხვების ანალოგიურ უფლებას არ უპირისპირდებიან. როულსისთვის მიუღებელია ამ ძირითადი თავისუფლების შეზღუდვა ნებისმიერი სხვა ე.წ. უმაღლესი სიკეთის გამო. ასეთი სიკეთე, რომელიც ინდივიდუალურ სიკეთეზე უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ამ პერსპექტივის თანახმად, სინამდვილეში არცაა სიკეთე. ამრიგად, როულსისთვის პირადი თავისუფლების უფლება უფრო მნიშვნელოვანია, ანუ ფუნდამენტურია, ვიდრე სხვა სახის სიკეთე. ეს შეხედულება ფართოდაა გავრცელებული ლიბერალებში.

თუმცა, როულსის ზოგიერთი კრიტიკოსი მიუთითებს, რომ არსებობს გარკვეული საერთო სიკეთე, რომლის მიღწევა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ინდივიდუალური თავისუფლების განხორციელება. ამ კრიტიკოსების ნაწილს **კომუნიტარები** ეწოდებათ, რადგან ისინი თვლიან, რომ ეს საერთო სიკეთე საზოგადოების (community) მიერ განისაზღვრება. **კომუნიტარიზმი** არის შეხედულება, რომლის თანახმად, ის საზოგადოება, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, საზოგადოებისა და ხელისუფლების ჩვენეული ანალიზის ცენტრში უნდა იყოს მოქცეული. კომუნიტარები ყურადღებას ამახვილებენ ადამიანთა სოციალურ ბუნებაზე. ისინი ამტკიცებენ, რომ ჩვენი იდენტობა, – ანუ ის, თუ ვინ ვართ ჩვენ, – დამოკიდებულია იმ მიმართებებზე, რომლებიც ჩვენ გვაქვს ჩვენი საზოგადოების სხვა წევრებთან. ჩვენ გადაჯაჭვული ვართ ჩვენს საზოგადოებასთან და მის კულტურულ პრაქტიკებთან.[16] ასე რომ, ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენი საკუთარი თავის, ან ჩვენი ხელისუფლების გაგებას ჩვენი საზოგადოებისა და მისი კულტურული ტრადიციების გათვალისწინების გარეშე.

როულსის კრიტიკოსი კომუნიტარები არიან **მაიქლ სენდელი** (დაიბ. 1953 წ. მნიშვნელოვანი ნაშრომი: „ლიბერალიზმი და სამართლიანობის საზღვრები“, 1982 წ.), **მაიქლ უოლცერი** (დაიბ. 1935 წ. მნიშვნელოვანი ნაშრომები: „სამართლის სფეროები“, 1983 წ., „მჭიდრო და არამჭიდრო“, 1994 წ.), **ალასდერ მაკინტაირი** (დაიბ. 1929 წ., მნიშვნელოვანი ნაშრომი: „სიქველის შემდეგ“, 1984 წ.) და **ჩარლზ ტეილორი** (დაიბ. 1931 წ., მნიშვნელოვანი ნაშრომი: „თვითობის წყაროები: თანამედროვე იდენტობის ჩამოყალიბება“, 1985 წ.). კლასიკოსი ფილოსოფოსებიდან, რომლებსაც ზოგჯერ ადრეულ კომუნიტარულ მოაზროვნეებად მიიჩნევენ, შეგვიძლია დავასახელოთ **არისტოტელე** და **ჰეგელი**.

[16] აქ იგულისხმება ის ქცევის წესები, რიტუალები და ტრადიციები, რომლებიც მოცემულ საზოგადოებაშია გავრცელებული.

მაიქლ სენდელი

მაიქლ უოლცერი

კომუნიტარიზმის თანახმად, ადამიანთა იდენტობას დიდწილად სხვადასხვა სახის სოციალური ურთიერთობები განსაზღვრავს.[17] ადამიანი უნდა განვიხილოთ არა როგორც იზოლირებული ინდივიდი, რომელსაც საზოგადოებასთან მინიმალური კავშირი აქვს, არამედ როგორც ისეთი არსება, რომელიც პიროვნებად მოცემული საზოგადოების წიაღში ყალიბდება. კომუნიტარები თვლიან, რომ ადამიანის ბუნების ასეთი გაგება საფუძვლად უნდა ედოს არა მხოლოდ ჩვენს მორალურ და პოლიტიკურ მსჯელობებს, არამედ საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და პოლიტიკასაც. ლომების მსგავსად, რომლებიც პრაიდებში ცხოვრობენ, ადამიანები თავიანთ ცხოვრებას სოციალურ ჯგუფებში ატარებენ. ისინი არ არიან ინდივიდუალისტური ვეფხვების მსგავსნი, რომლებიც უმეტესწილად განმხოლოებულად ცხოვრობენ. სოციალური ჯგუფები, რომელთა წიაღშიც ვცხოვრობთ, განსაზღვრავენ (და კომუნიტარების აზრით, უნდა განსაზღვრავდნენ) ჩვენს პოლიტიკურ და მორალურ მსჯელობებს. აქ იგულისხმება შემდეგი საკითხები: როგორია მართებული ქცევა, რა სახის პოლიტიკური წყობაა უკეთესი, რა ვალდებულება მაქვს იმ საზოგადოების მიმართ, რომელშიც ვცხოვრობ და ა.შ. კომუნიტარები თვლიან, რომ ჩვენ განსაკუთრებული ვალდებულებები გაგვაჩნია იმ სოციალური ჯგუფების მიმართ, რომლებიც ჩვენს ცხოვრებას მნიშვნელობას ანიჭებენ, რომელთა გარეშეც ჩვენ ჩვენი ცხოვრების წარმმართველ ორიენტირებს დავკარგავდით და მორალურ-პოლიტიკურ საკითხებზე სათანადოდ ვერ ვიმსჯელებდით.



ჩარლზ ტეილორი



ალასდერ მაკინტაირი

[17] შდრ. Daniel Bell, "Communitarianism", The Stanford Encyclopedia of Philosophy (Fall 2020 Edition), Edward N. Zalta (ed.), https://plato.stanford.edu/entries/communitarianism/

სოციალური ხელშეკრულების თეორიის მთავარი პრობლემა, კომუნიტარების აზრით, ისაა, რომ ის უგულებელყოფს ადამიანთა სოციალურ ბუნებას და ინდივიდზე ამახვილებს ყურადღებას. გარდა ამისა, კომუნიტარების კრიტიკაში შემდეგი ასპექტები შეიძლება გამოვყოთ: 1. კომუნიტარების აზრით, სოციალური ხელშეკრულების თეორია ამტკიცებს, რომ სახელმწიფო ხელოვნური წარმონაქმნია. თუმცა, კომუნიტარი ფილოსოფოსები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო ბუნებრივი ერთეულია. დიდი ხნის წინ არისტოტელე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო ბუნებრივად ვითარდება ადამიანთა მიდრეკილებისგან, დაამყარონ ერთმანეთთან კავშირები. ამ მიდრეკილების პირველი პროდუქტია ოჯახი, რასაც მოჰყვება სოფელი და ბოლოს – სახელმწიფო. საზოგადოების პირველი ფორმები ბუნებრივი მოთხოვნილებების საფუძველზე ჩნდება და ასეთივე ბუნებრივი მოთხოვნილებების შედეგია სახელმწიფოც. ადამიანი ვერ იქნება ადამიანი სრული აზრით, თუკი იგი სახელმწიფოში არ იცხოვრებს (იხ. თემა 4). XIX საუკუნეში არისტოტელეს შეხედულებები სახელმწიფოს შესახებ განავითარა ცნობილმა გერმანელმა ფილოსოფოსმა **გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელმა** (1770-1831 წწ.). არისტოტელეს მსგავსად, ჰეგელიც თვლიდა, რომ სახელმწიფო არის ყველა ადრეული ადამიანური გაერთიანების ყველაზე სრულყოფილი ფორმა და რომ ის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ინდივიდი. იგი, ასევე, ეთანხმებოდა არისტოტელეს შეხედულებას, რომ ადამაინებს სრულყოფილი განვითარება მხოლოდ სახელმწიფოში შეუძლიათ. კერძოდ, ჰეგელი თვლიდა, რომ ადამიანს მხოლოდ სახელმწიფოს ფარგლებში შეუძლია თავისი თავისუფლების განვითარება. უფრო მეტიც, ინდივიდი მაშინ განვითარდება სრულად, როდესაც იგი იმ სახელმწიფოს კულტურულ პრაქტიკებს[18] მიიღებს, რომელშიც იგი ცხოვრობს.

ჰეგელისთვის თავისუფლება უფრო მეტია, ვიდრე სხვების ცხოვრებაში არჩარევა. ადამიანები თავისუფალნი არიან იმ ხარისხით, რამდენადაც მათ უფრო მეტის გაკეთება შეუძლიათ. რაც უფრო მეტი შესაძლებლობები აქვთ მათ, მით უფრო მეტად თავისუფლები არიან ისინი. ჰეგელი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო არის ის სივრცე, რომელშიც ადამიანებს ყველაზე მეტად შეუძლიათ თავიანთი შესაძლებლობების განვითარება. მხოლოდ სახელმწიფოს ფარგლებშია შესაძლებელი ადამიანთა წინაშე არსებული შესაძლებლობების მაქსიმალური განვრცობა. შესაბამისად, მხოლოდ სახელმწიფოში შეიძლება იყოს ადამიანი ჭეშმარიტად თავისუფალი.

2. კომუნიტარები ეთანხმებიან ჰეგელს, რომ სახელმწიფო და მისი კულტურული პრაქტიკები (წესები, ტრადიციები და ა.შ.) ყველა ინდივიდის იდენტობის (პიროვნული მეობის) წყაროა. სახელმწიფოში ჩვენ ვითვისებთ იმ კულტურასა და ტრადიციებს, რომელთა მეშვეობით საკუთარ თავს განვსაზღვრავთ. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, როგორ უწოდებს საკუთარ თავს „ქართველს“ ის ადამიანი, რომელიც საქართველოში იზრდება. იგი საკუთარ თავს იმ ისტორიის ნაწილად თვლის, რომელიც კოლხეთისა და იბერიის სამეფოებიდან იწყება. ამ ისტორიის ნაწილები არიან ფარსმან ქველი, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა და სხვები. ეს ადამიანი ფიქრობს, რომ „საქართველო“ მოიცავს მთებს, ტყეებს, მუსიკას, ლიტერატურას, რელიგიას და ა.შ. ერთი სიტყვით, კომუნიტარი იტყვის, რომ ჩვენს მიერ ჩვენი საკუთარი თავის გაგება დამოკიდებულია იმ სახელმწიფოს კულტურულ ტრადიციებზე, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

თუმცა, როგორც ვნახეთ, სოციალური ხელშეკრულების თეორია და განსაკუთრებით, მისი როულსისეული ვერსია, მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ მხარი არ უნდა

[18] იგულისხმება საზოგადოებაში არსებული ღირებულებებისა და ნორმების შესაბამისი ქცევები.

დაუჭიროს ერთ რომელიმე კულტურას და რომ მან ადამიანებს უნდა მიანდოს საკუთარი კულტურული განვითარების გზის არჩევა. მაიქლს სენდელი ამტკიცებს, რომ შეცდომაა აზრი, რომლის თანახმად, ხელისუფლება ნეიტრალური უნდა იყოს საზოგადოებაში არსებული განსხვავებული მორალური, რელიგიური და კულტურული შეხედულებების მიმართ. ჰეგელი ამტკიცებდა, რომ ინდივიდი მაშინ განვითარდება სრულყოფილად, თუკი სახელმწიფო, რომელშიც იგი ცხოვრობს, მხარს უჭერს და განამტკიცებს ძლიერ კულტურულ ტრადიციებს. რა თქმა უნდა, განსხვავებული სახელმწიფოები განსხვავებულ ტრადიციებს დაუჭერენ მხარს, თუმცა თითოეულმა სახელმწიფომ და ხელისუფლებამ რომელიმე კულტურულ ტრადიციას უნდა დაუჭიროს მხარი. სენდელი მიიჩნევს, რომ საზოგადოება ინტერსუბიექტური, ანუ კოლექტიური თვითობაა (collective self), რადგან თვითობის (self) ცნება ინდივიდზე უფრო მეტს გულისხმობს, – ოჯახს, ან ტომს, ან ხალხს, – ერთი სიტყვით, საზოგადოებას, რომლის წიაღშიც საერთო ღირებულებები არსებობს. სენდელის აზრით, თანაბარი თავისუფლების როულსისეული პრინციპი, ასეთი სოციალური ორგანიზმის კეთილდღეობასთან შედარებით, მეორეხარისხოვანია.

უოლცერი ერთმანეთისგან განასხვავებს „მჭიდრო“ (thick) მორალურ არგუმენტს, რომელიც კონკრეტულ პოლიტიკურ ერთობას ან კულტურას უკავშირდება და „არამჭიდრო“ (thin) მორალურ არგუმენტს, რომელიც აბსტრაქტული, ზოგადი და ფილოსოფიურია. უოლცერის თანახმად, პოლიტიკური ფილოსოფოსები ესწრაფვიან აბსტრაქტული, საყოველთაო (არამჭიდრო) დებულებების ჩამოყალიბებას და მათ მოცემული პოლიტიკური ერთობის სტრუქტურა მხოლოდ ზოგად ჭრილში აინტერესებთ. თუმცა, ნებისმიერი თვალსაზრისი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს განაწილებული სოციალური სიკეთეები, მჭიდრო იქნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს თვალსაზრისი კონკრეტულ კულტურაზე და კონკრეტულ ისტორიულ გამოცდილებაზე იქნება ორიენტირებული. უოლცერის თანახმად, საზოგადოება სამართლიანია, თუკი მისი ცხოვრების წესი შესაბამისობაში მოდის მისი წევრების საერთო ღირებულებებთან. არ არსებობს მარადიული ან საყოველთაო პრინციპები (უოლცერს აქ როულსის პრინციპებიც აქვს მხედველობაში), რომლებიც ჩაანაცვლებენ სამართლიანობის „ლოკალურ“, კონკრეტულ წარმოდგენას. ნებისმიერი ასეთი ზოგადი პრინციპი სხვა არაფერია, თუ არა განზოგადება და გამარტივება, რომლებიც ფარულად მაინც ამა თუ იმ კონკრეტულ კულტურულ პერსპექტივას ასახავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უოლცერის აზრით, ამ ზოგადი პრინციპების ჩამომყალიბებელი მოაზროვნე **საკუთარი** კულტურის პერსპექტივიდან აყალიბებს აღნიშნულ პრინციპებს. გარდა ამისა, ასეთი ზოგადი პრინციპების ერთობლიობა იმდენად აბსტრაქტული იქნება, რომ ის ნაკლებად სასარგებლო იქნება კონკრეტული საზოგადოებების ანალიზის დროს, მიიჩნევს უოლცერი.

ამრიგად, კომუნიტარები აკრიტიკებენ ლიბერალური თეორიის უნივერსალისტურ (საყოველთაო ხასიათის მქონე) დებულებებს. მათი კრიტიკის მთავარი ობიექტია როულსის „თავდაპირველი მდგომარეობის“ ცნება, რომელიც, თავად როულსის მიხედვით, საშუალებას გვაძლევს, ადამიანის მდგომარეობა „მარადიულობის პერსპექტივიდან“, ანუ ყოვლისმომცველი პოზიციიდან შევაფასოთ. კომუნიტარების აზრით, როულსი თავის სამართლიანობის თეორიას საყოველთაო ჭეშმარიტების სახეს აძლევს. თუმცა, როულსისგან განსხვავებით, კომუნიტარები მიიჩნევენ, რომ ჭეშმარიტების კრიტერიუმები კონკრეტულ საზოგადოებებში უნდა ვეძიოთ. ეს საზოგადოებები ერთმანეთისგან განსხვავდება და, შესაბამისად, ჭეშმარიტების კრიტერიუმებიც, შესაძლოა, განსხვავებული იყოს. მაკინტაირი და ტეილორი ამტკიცებდნენ, რომ ინდივიდთა მორალური და პოლიტიკური მსჯელობა დამოკიდებულია იმ **ინტერპრეტაციულ ჩარჩოზე** (დავარქვათ მას „სათვალე“), რომლითაც ისინი სამყაროს აღიქვამენ. სამყაროს ახსნის ეს

ინტერპრეტაციული ჩარჩოები, ანუ სტრატეგიები განსხვავებულია და, შესაბამისად, მათგან განზოგადება პოლიტიკურ ჭრილში გაუმართლებელია. გარდა ამისა, კომუნიტარები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო არ უნდა იყოს ნეიტრალური მორალურ და კულტურულ ღირებულებებთან მიმართებით. უფრო მეტიც, მან უნდა ასწავლოს მოქალაქეებს ის მორალი და კულტურული ღირებულებები, რომლებიც მათი ტრადიციების ნაწილია.

მიუხედავად ამისა, ამერიკელი პოლიტიკური ფილოსოფოსის დენიელ ა. ბელის[19] აზრით, 1980-იანი წლების კომუნიტარიზმმა ლიბერალიზმის კრიტიკა დამაჯერებელი მაგალითებით ვერ გაამყარა. მაკინტაირი არისტოტელესეული იდეალური პოლისის იდეას იცავს, ხოლო უოლცერი ინდური კასტური სისტემის მაგალითს იშველიებს. ბელის თანახმად, ეს მაგალითები თანამედროვე მკითხველისთვის არადამარწმუნებელია, რადგან ისინი ნაკლებად შეეფერება თანამედროვე ფართომასშტაბიან და ინდუსტრიალიზებულ საზოგადოებებს. გარდა ამისა, 1990-იან წლებში აბსტრაქტული მეთოდოლოგიური კამათი „უნივერსალისტ“ ლიბერალებსა და „პარტიკულარისტ“ კომუნიტარებს შორის ადამიანის საყოველთაო უფლებებზე მზარდმა აქცენტირებამ ჩაანაცვლა. ლიბერალური მხრიდან **ლიბერალური უნივერსალიზმის** (შეხედულება, რომლის თანახმად ლიბერალურ პრინციპებს საყოველთაო ბუნება აქვთ) პოზიციებს კარგად გამოხატავს ამერიკელი ფილოსოფოსი **ფრენსის ფუკუიამა** (დაიბ. 1952 წ.), რომლის თანახმად, საბჭოთა კავშირის დაშლა და ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვება „ისტორიის დასასრულზე“ მიუთითებდა (იმ აზრით, რომ ვერ შეიქმნებოდა ლიბერალურ დემოკრატიაზე უკეთესი პოლიტიკური მოდელი). ამან, თავის მხრივ კომუნიტარების მხრიდან ლიბერალური უნივერსალიზმის კრიტიკის მეორე ტალღა გამოიწვია და კამათმა უფრო კონკრეტული და პოლიტიკური ხასიათი შეიძინა. ბელი, ასევე, მიუთითებს, რომ აღმოსავლეთ აზიაში (განსაკუთრებით, ჩინეთში) განსხვავებული მიდგომები არსებობს ლიბერალურ დემოკრატიულ ღირებულებებთან მიმართებით და რომ ეს განსხვავებული პერსპექტივა საერთაშორისო ასპარეზზე დასავლეთისთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს.

თუმცა, კომუნიტარიზმის წინააღმდეგ ყველაზე სერიოზული შეპასუხება ალბათ შემდეგია: უნდა იქნეს თუ არა შენარჩუნებული ყველა კულტურული ტრადიცია, რომელიც ხალხს გააჩნია? აშშ-ს სამოქალაქო ომამდე (1861-1865 წწ.) ბევრი თეთრკანიანი, რომელიც სამხრეთის მონათმფლობელურ შტატებში ცხოვრობდა, ამტკიცებდა, რომ მათ განსხვავებული სახის კულტურა და ცხოვრების წესი განავითარეს თავიანთ დიდ პლანტაციებში. მონობა ამ სამხრეთული კულტურის ნაწილად ითვლებოდა. შესაბამისად, ისინი მონობის გაუქმების წინააღმდეგნი იყვნენ. ანალოგიურად, ბევრი ადამიანი ამტკიცებს, რომ შეხედულება, რომლის თანახმად, ქალები სახლში უნდა რჩებოდნენ და ბავშვებს ზრდიდნენ, განსხვავებული და გამორჩეული კულტურის ნაწილია, რომელიც არ უნდა განადგურდეს. მაგრამ არის თუ არა ეს კულტურული ტრადიციები თანაბრად ღირებული? თუ არა, მაშინ ხომ არ ცდებიან კომუნიტარები, როდესაც ამტკიცებენ, რომ ხელისუფლებამ უნდა განამტკიცოს ყველა ის ტრადიციული კულტურული ღირებულება, რომელიც ერს გააჩნია? შესაბამისად, ვერ ვიტყვით იმას, რომ კომუნიტარებმა ლიბერალიზმის წინააღმდეგ არგუმენტში ბოლომდე დამაჯერებელი არგუმენტები წამოაყენეს.

[19] არ უნდა ავურიოთ ცნობილ ამერიკელ სოციოლოგ დენიელ ბელში (1919-2011 წწ.), რომელიც კაპიტალიზმის, იდეოლოგიის და პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოებების შესახებ წერდა.

საკვანძო ცნებები და პიროვნებები

სამართლიანობა

დისტრიბუციული/სოციალური სამართლიანობა

სამართლიანობა როგორც დამსახურება

სამართლიანობა როგორც თანასწორობა

სამართლიანობა როგორც საზოგადოებრივი სარგებელი

მკაცრი ეგალიტარიზმი

ზომიერი ეგალიტარიზმი

უტილიტარიზმი

არცოდნის საბურველი

საწყისი/თავდაპირველი მდგომარეობა

ბუნებრივი მდგომარეობა

სოციალური/საზოგადოებრივი ხელშეკრულება

მინიმალური სახელმწიფო

„უხილავი ხელი“

ლიბერტარიანიზმი

უფლებების მინიჭების კონცეფცია

კომუნიტარიზმი

თვითობა (self)

საზოგადოება, როგორც კოლექტიური თვითობა

მჭიდრო და არამჭიდრო არგუმენტები

ინტერპრეტაციული ჩარჩო/სტრატეგია

ლიბერალური უნივერსალიზმი

ისტორიის დასასრული

პლატონი

არისტოტელე

ჯონ სტიუარტ მილი

ჯონ როულსი

თომას ჰობსი

ადამ სმითი

რობერტ ნოზიკი

მაიქლ სენდელი

მაიქლ უოლცერი

ალასდერ მაკინტაირი

გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი

ჩარლზ ტეილორი

ფრენსის ფუკუიამა

შეკითხვები და დავალებები

რას ნიშნავს სამართლიანობა? განარტეთ სამართლიანობის განსხვავებული მნიშვნელობები. რა შეკითხვები უკავშირდება სამართლიანობას?

როგორ განმარტავს სამართლიანობის ცნებას რ. ერნესონი? რა წარმოქმნის დისტრიბუციული სამართლიანობის სფეროს?

როგორ გესმით გამოთქმა „ფუნდამენტური მორალური პრინციპები“?

რას გულისხმობს სამართლიანობა როგორც დამსახურება? სამართლიანობა როგორც თანასწორობა? სამართლიანობა როგორც საზოგადოებრივი სარგებელი? თქვენ რომელ პოზიციას ემხრობით? რატომ?

რას გულისხმობს მკაცრი ეგალიტარიზმი? ზომიერი ეგალიტარიზმი?

რა კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს, როულსის მიხედვით, რათა სახელმწიფო მოწესრიგებული იყოს?

რას ეწოდება არცოდნის საბურველი და თავდაპირველი მდგომარეობა?

რა იგულისხმება ბუნებრივი მდგომარეობის ცნებაში?

რას ნიშნავს სოციალური ხელშეკრულების თეორია? როგორ აკრიტიკებდა ჰიუმი ამ თეორიას? რა სიახლე შეიტანა როულსმა სოციალური ხელშეკრულების თეორიაში?

ჩამოაყალიბეთ და განმარტეთ როულსის სამართლიანობის პრინციპები.

რა შემთხვევაშია გამართლებული, როულსის აზრით, უთანასწორობის არსებობა საზოგადოებაში?

რა მიზეზების გამო აკრიტიკებს როულსი უტილიტარიზმს? თქვენი აზრით, რამდენად გამართლებულია ეს კრიტიკა?

როგორ გამოიყენა ნოზიკმა სმითის „უხილავი ხელის“ ცნება სახელმწიფოს წარმოშობის ასახსნელად?

როგორი სახელმწიფოს არსებობაა გამართლებული, ნოზიკის მიხედვით?

რაში გამოიხატება უფლებების მინიჭების ნოზიკისეული კონცეფცია?

როგორ გესმით ინტერპრეტაციული ჩარჩოს/სტრატეგიის ცნება? როგორ ფიქრობთ, რამდენად განსხვავებული ინტერპრეტაციული ჩარჩოები აქვთ სხვადასხვა საზოგადოებებს? გაანალიზეთ ეს შემთხვევა საქართველოს მეზობელი ქვეყნების მაგალითზე.

რა წარმოადგენს კომუნიტარების ძირითად არგუმენტებს? რას ფიქრობენ კომუნიტარი მოაზროვნეები სახელმწიფოს შესახებ?

რა მხრივ აკრიტიკებენ კომუნიტარები ლიბერალიზმს? ეთანხმებით თუ არა მათ ძირითად დებულებებს? პასუხი დაასაბუთეთ.

შეადარეთ უოლცერის შეხედულებები რაიმონდ გოისის შეხედულებებს (გოისის შესახებ იხ. თემა 2. „პოლიტიკური ფილოსოფიის საგანი“).

დავალება 1: წარმოიდგინეთ, რომ იმყოფებით როულსის მიერ აღწერილ თავდაპირველ მდგომარეობაში, არცოდნის საბურველის ქვეშ და არ ფლობთ ინფორმაციას თქვენი მომავალი სქესის, სოციალური სტატუსის, რელიგიური კუთვნილების და ა.შ. შესახებ. როგორი უნდა იყოს თქვენი და თქვენი ჯგუფელების მიერ შერჩეული ხელისუფლება? მაგალითად, რა უფლებები უნდა უზრუნველყოს ხელისუფლებამ? რა უნდა გააკეთოს მან ღარიბებისთვის? უნდა იყოს თუ არა თანაბარი შესაძლებლობები გარანტირებული? უნდა დააფინანსოს თუ არა ხელისუფლებამ განათლება და თუ კი, მაშინ რა ხარისხით? როგორი საგადასახადო სისტემა უნდა არსებობდეს? უნდა იხდიდნენ თუ არა უფრო მეტ გადასახადს უფრო მდიდრები? გახსოვდეთ, რომ ის პრინციპები, რომელსაც თქვენ შეარჩევთ, ჯგუფის სხვა წევრებისთვისაც მისაღები უნდა იყოს. მსჯელობის შემდეგ ჯგუფთან ერთად ჩამოაყალიბეთ სამართლიანი სახელმწიფოს თქვენეული მოდელი.

დავალება 2: კურსის ხელმძღვანელის მითითებით წაიკითხეთ გარკვეული პასაჟები როულსისა და ნოზიკის ნაშრომებიდან და შეადგინეთ როულსისა და ნოზიკის მომხრეთა „ბანაკები“. მოაწყვეთ დისკუსია შემდეგ საკითხზე: ვართ თუ არა ვალდებულები, რომ საერთო კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით, მდიდრებს უფრო მეტი რესურსების გაღება მოვთხოვოთ? თუკი საკითხის განხილვისას სხვა „ბანაკი“ იჩენს თავს, მაშინ დისკუსიაში ისიც ჩაერთვება ☺

დავალება 3: კურსის ხელმძღვანელის მითითებით წაიკითხეთ გარკვეული პასაჟები როულსიდან/ნოზიკიდან და კომუნიტარების ტექსტებიდან. მოაწყვეთ დისკუსია „ლიბერალებსა“ და „კომუნიტარებს“ შორის; როულსისა და ნოზიკის მომხრეებს შორის.

დავალება 4: ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებში (Cambridge Core, JSTOR და სხვ.) განახორციელეთ ძიება ერთ-ერთ საკვანძო სიტყვაზე: distributive justice, veil of ignorance, entitlement conception, communitarianism. ძიების შედეგები გაფილტრეთ ბოლო ათ წელიწადზე და სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებზე. შედეგებში გაეცანით სხვადასხვა სტატიების აბსტრაქტებს და მონიშნეთ ის სტატია/სტატიები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ. მოიძიეთ ინფორმაცია სტატიის ავტორისა და მისი სხვა პუბლიკაციების შესახებ. სტატიის წაკითხვაც შესაძლებელია, თუკი დრო ამის საშუალებას მოგცემთ ☺

რეკომენდირებული ტექსტები:

John Rawls, ***A Theory of Justice,*** Cambridge, MA: Harvard University Press, 1971 – როულსის ეს მონუმენტური ნაშრომი პირველად 1971 წელს გამოქვეყნდა. თუმცა, 1975 წელს როულსმა საგრძნობლად შეასწორა თავდაპირველი გამოცემის ტექსტი ნაშრომის გერმანული თარგმანისთვის. შესწორებული ნაშრომის ინგლისური ვერსია ჰარვარდის უნივერსიტეტის გამომცემლობამ 1999 წელს გამოსცა.

John Rawls: Debating the Major Questions, edited by John Mandle and Sarah Roberts-Cady, Oxford: Oxford University Press, 2020. – თანამედროვე პერსპექტივები როულსის პოლიტიკური ფილოსოფიის შესახებ.

Robert Nozick, ***Anarchy, State, and Utopia,*** New York: Basic Books, 1974. – თანამედროვე ლიბერტარიანიზმის საეტაპო ნაშრომი, რომელშიც ნოზიკი მინიმალური სახელმწიფოს იდეას იცავს.

The Cambridge Companion to Nozick's "Anarchy, State, and Utopia", edited by Ralf M. Bader and John Meadowcroft, Cambridge: Cambridge University Press, 2011. – კემბრიჯის უნივერსიტეტის გზამკვლევი რობერტ ნოზიკის საკვანძო ნაშრომის – „ანარქია, სახელმწიფო და უტოპია“ – შესახებ.

Michael Sandel, ***Liberalism and the Limits of Justice,*** Cambridge: Cambridge University Press, 1982. – თავის ნაშრომში „ლიბერალიზმი და სამართლიანობის საზღვრები“ ამერიკელი პოლიტიკური ფილოსოფოსი მაიქლ სენდელი აკრიტიკებს ჯონ როულსისა და რობერტ ნოზიკის იდეების. ნაშრომის მეორე გამოცემა 1998 წელს გამოქვეყნდა.

Alasdair MacIntyre, ***After Virtue,*** Notre-Dame: University of Notre Dame Press, 1981. – მაკინტაირის საკვანძო ნაშრომი. მეორე გამოცემა: 1984 წ., მესამე გამოცემა – 2007 წ. განსხვავებულ გამოცემებზე ყურადღების გამახვილებას თავისი მიზეზი აქვს: როდესაც ავტორის სიცოცხლეში ნაშრომი ხელახლა გამოდის, შესაძლოა, მას ავტორმა მთელი რიგი დამატებები დაურთოს, ან შეცვალოს კიდეც გარკვეული ადგილები. მაგალითად, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშენთ, როულსის „სამართლიანობის თეორიის“ 1971 წლის გამოცემა საგრძნობლად განსხვავდება მეორე ინგლისურენოვანი გამოცემისგან (1999 წ.), რომელშიც უკვე ავტორმა მთელი რიგი შესწორებები შეიტანა. რაც შეეხება მაკინტაირს, მან 1984 წელს მეორე გამოცემას დანართი დაურთო, სადაც პასუხი გასცა პირველი გამოცემის

მიმართ გაჟღერებულ კრიტიკას. 2007 წლის გამოცემისთვის კი მან უკვე არსებულ შესავალს ახალი წინასიტყვაობა დაურთო წინ.

Charles Taylor, *Sources of the Self: The Making of the Modern Identity*, Cambridge: Cambridge University Press, 1989. – აღნიშნულ ნაშრომში კანადელი ფილოსოფოსი ჩარლზ ტეილორი თანამედროვე იდენტობის ჩამოყალიბების ისტორიას განიხილავს.

Michael Walzer, ***Thick and Thin: Moral Argument at Home and Abroad,*** Notre-Dame: University of Notre Dame Press, 1994. – ამერიკელი პოლიტიკური ფილოსოფოსის მაიქლ უოლცერის ნაშრომში „მჭიდრო და არამჭიდრო: მორალური არგუმენტში შინ და საზღვარგარეთ“ ავტორი მორალური არგუმენტების ორ განსხვავებულ (თუმცა, ურთიერთდაკავშირებულ) ტიპს – მაქსიმალისტური და მინიმალისტური, მჭიდრო და არამჭიდრო, ლოკალური და უნივერსალური – გამოყოფს.

ფრენსის ფუკუიამა, „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“, თარგმნა ზაზა ჭილაძემ, რედაქტორი: გია ჭუმბურიძე, თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 1999 წ. – ფუკუიამას გახმაურებული ნაშრომი, რომელშიც იგი „ისტორიის დასასრულის“ და ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვების შესახებ საუბრობს.

თომას ჰობსი, „ლევიათანი“, თარგმნა გია ნოდიამ, იხ. „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019 წ., გვ. 185-198. ჰობსის შესახებ მთარგმნელის წინასიტყვაობა იხ. გვ. 170-184.

David Hume, Political Essays. Edited by Knud Haakonssen, Cambridge University Press, 1994. – დევიდ ჰიუმის პოლიტიკური ესეების კრებული. სოციალური ხელშეკრულების იდეის კრიტიკა მოცემულია ესეში *Of the original contract*.

ინტერნეტ-რესურსები:

Henry S. Richardson, “John Rawls”, *Internet Encyclopedia of Philosophy*, https://iep.utm.edu/rawls/ – სტატია ჯონ როულსის შესახებ ფილოსოფიის ინტერნეტ-ენციკლოპედიაში.

Edward Feser, “Robert Nozick”, *Internet Encyclopedia of Philosophy*, https://iep.utm.edu/nozick/ – სტატია რობერტ ნოზიკის შესახებ ფილოსოფიის ინტერნეტ-ენციკლოპედიაში.

Daniel A. Bell, "Communitarianism", *The Stanford Encyclopedia of Philosophy* (Fall 2020 Edition), Edward N. Zalta (ed.), https://plato.stanford.edu/entries/communitarianism/ – სტატია კომუნიტარიზმის შესახებ სტენფორდის ფილოსოფიურ ენციკლოპედიაში. აღნიშნული სტატია საინტერესოა იმ კუთხით, რომ ავტორი საგანგებო ყურადღებას ამახვილებს აზიურ (კერძოდ, ჩინურ) პერსპექტივაზე ლიბერალიზმთან მიმართებით.

SRF Kultur, Thought experiment “Veil of Ignorance”, #filosofix, https://youtu.be/_KefNcPFUDo – ანიმაციური ვიდეო როულსის „არცოდნის საბურველის“ შესახებ.